ავერსი AVERSI

შ.პ.ს "ავერსი-ფარმა" ს/კ 211386695
0112, თბილისი, საქართველო,
დავით აღმაშენებლის გამზ. №148
ტელ.: (995 32) 2987860, 2997970
ფაქსი: (995 32) 2911906

"AVERSI-PHARMA" LLC I/N 211386695
148, David Agmashenebeli Ave., 0112,
Tbilisi, Georgia
Tel.: (995 32) 2987860, 2997970
Fax: (995 32) 2911906

E-Mail: info@aversi.ge WEB: www.aversi.ge

№ 537 "16" 01 " 2019 წ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს "ავერსი-ფარმა"-ს (ს.კ. 211386695) სააფთიაქო ქსელის დირექტორი ეკატერინე ბურძენიძე კომპანიის თანამშრომელს დავით კურტანიძეს (დაბ. 20/03/1994წ, პ/ნ 38001012331) ანიჭებს უფლებამოსილებას მასზედ, რომ იყოს შპს "ავერსი-ფარმა"-ს წარმომადგენელი კომპანიის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ მიწასთან და შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებით თბილისის მერიაში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში. შეასრულოს აღნიშნულთან დაკავშირებული ყველა სახის მოქმედება (მათ შორის შეავსოს და ხელი მოაწეროს განაცხადს, წარადგინოს საჭირო დოკუმენტაცია ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში, იყოს წარმომადგენელი მშენებლობის/დემონტაჟის/ საკითხებთან დაკავშირებით, მიიღოს ნებართვებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, გამოითხოვოს ყველა სახის საჭირო დოკუმენტაცია, განახორციელოს შენობა–ნაგებობის ან მისი ნაწილი ექსპლუატაციაში მიღება, გადაიხადოს აღნიშნული ქმედებების განხორციელებისთვის საჭირო მოსაკრებელი და ა.შ).

მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) თვის ვადით.

საფთიაქო ქსელის დირექტორი: ე. ბურძენიძე

შპს "ავერსი-ფარმა" 211386695 AVERSI-PHARMA

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

60264756948318

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N181571203

რეგისტრაციის თარიღი

28.12.2018 წ

ნოტარიუსი: ოთარ გოლოძე
მისამართი: თბილისი, ქუჩა ომარ ხიზანიშვილი, N 30, მე-2 სართული, N8
ტელეფონი: 577 111 881

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას თვრამეტი წლის ოცდარვა დეკემბერს, მე, ნოტარიუს ოთარ გოლოძეს (სანოტარო ბიურო, მდებარე მისამართზე: თბილისი, ქუჩა ომარ ხიზანიშვილი, №30, მე-2 სართული, №8) მომმართა **შპს ავერსი-ფარმა**-ს (ს/კ **211386695**) გენერალურმა დირექტორმა **ირაკლი ფურცელაძემ**, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. ამასთანავე მან მოითხოვა სანოტარო მოქმედების შესრულება მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №148.

მე გამოვცხადდი ზემოაღნიშნულ მისამართზე, შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე **ირაკლი ფურცელაძემ** (დაბ. 29.03.1979. მის: თბილისი, პეკინის I შესახვევი N4, ბ. 16 პ/ნ **01026002800**) მომმართა.

ირაკლი ფურცელაძის, როგორც **შპს ავერსი-ფარმა**-ს (ს/კ **211386695**) **გენერალური დირექტორის** უფლებამოსილება დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის №: **B18206388, 13/12/2018** წელს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

მე აგრეთვე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ მას წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობაზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი სრულად გამოხატავს მის ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **ირაკლი ფურცელაძე (პ/ნ 01026002800)**, როგორც შპს „ავერსი-ფარმა"-ს (ს/კ 211386695) გენერალური დირექტორი, ვანიჭებ უფლებამოსილებას **შ.პ.ს. "ავერსი-ფარმა"-ს სააფთიაქო ქსელის დირექტორს ეკატერინე ბურძენიძეს (დაბ. 03.02.1973წ. პ/ნ 54001007285)**, რომ წარმოადგინოს შპს „ავერსი-ფარმა"-ს ინტერესები ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, საჯარო და სამეწარმეო რეესტრში, მერიაში, სანოტარო ბიუროში, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ორგანოებში, საბაჟო სამსახურებში, ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში, კერძო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს, აქტებს, შეთანხმების აქტებს, მორიგების აქტებს, წარსადგენ დოკუმენტაციას, წერილებს, მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია შპს „ავერსი-ფარმა"-ს შესახებ, აწარმოოს მოლაპარაკებები, ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის ხელშეკრულებებს/ გარიგებებს/ შეთანხმებებს, ცვლილებებს, დამატებით შეთანხმებებს, გადაწყვეტილებებს, ოქმებს, აქტებს, სასამართლოში მორიგების აქტებს. აგრეთვე, იგი უფლებამოსილია ჩემი, როგორც შპს "ავერსი-ფარმა"-ს გენერალური დირექტორის სახელით გააფორმოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება ამავე საზოგადოების თანამშრომლებთან, გასცეს შიდა მინდობილობები, გააფორმოს შრომითი ხელშეკრულება/შეწყვიტოს ხელშეკრულება ფიზიკურ პირ(ებ)თან და ხელი მოაწეროს მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საჭირო დოკუმენტს, მათ შორის და არამხოლოდ ბრძანებებს/შეთანხმებებს. აგრეთვე, წარმოადგინოს შპს „ავერსი-ფარმა"-ს ინტერესები საქართველოში არსებულ ნებისმიერ ბანკში და მის სერვის-ცენტრებში, მართოს და განკარგოს საზოგადოების კუთვნილი ანგარიშები, აწარმოოს ყველა სახის საბანკო-საფინანსო ოპერაციები. განახორციელოს გადარიცხვები, განაღდება და კონვერტაციები, ისარგებლოს ინტერნეტ ბანკით, მიიღოს მისი პაროლი/გასაღები, შეასრულოს ნებისმიერი სხვა იურიდიული ფორმალობა დაკავშირებული ამ დავალების შესრულებასთან და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება და პროცედურა, რაც საჭირო გახდება შპს "ავერსი-ფარმა"-ს მართვასთან დაკავშირებით.

მინდობილობა გაცემულია მინიჭებული უფლებების სრულად ან ნაწილობრივ გადანდობის უფლებით.

მინდობილობა ძალაშია 2019 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია და ხელმოწერილია ათ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ოთარ გოლოძის სანოტარო ბიუროს არქივში (დანართი: B18206388 ამონაწერი, შპს ავერსი-ფარმას წესდება ინახება ნოტარიუს ო. გოლოძის არქივში **N160005396**), დანარჩენი გადაეცა მინდობილობის გამცემს.

საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად 10 ლარი, 20 ლარი, თანახმად 34-ე მუხლისა და 2 ლარი თანახმად 39-ე მუხლისა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად დღგ: 5.4 ლარი.

ხელმოწერა: _____

ნოტარიუსი ოთარ გოლოძე

NOTARY OTAR GOLODZE 01024023791 GEORGIA